პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 ივლისი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 145 (9812) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## პირველი ჩემპიონიც გამოჩნდა

„ლელოს" 21 ივლისის ნომერში გაცნობეთ ახალგაზრდა თბილისელი ფალავნის მერაბ ვალიევის (მძიმე წონა) წარმატების შესახებ, რომელსაც მან კანადის ქალაქ სენტ-ჯონსში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაში მიაღწია (ახალგაზრდებს შორის). ახლა ამ შეჯიბრების შედეგებიც ხელთ გვაქვს, საიდანაც ირკვევა, რომ ვალიევს („შრომითი რეზერვები") მეტოქეები აშკარა უპირატესობით დაუმარცხებია, თუმცა მათ შორის უკვე საკმაოდ გამოცდილი ათლეტებიც იყვნენ. მაგალითად უნივერსალურ კანადელ მოჭიდავეს, რომელიც ჩვენს ფალავანთან დამარცხდა — 2:9, მსოფლიო თასის გათამაშებაში ვერცხლის მედლები აქვს მოპოვებული როგორც თავისუფალ, ისე კლასიკურ (!) ჭიდაობაში. ძალზე ძლიერი სპორტსმენია ამერიკელი დევის სტივენსი, ამ შეჯიბრების შარშანდელი ჩემპიონი (ვალიევმა მას 8:0 მოუგო).

მერაბ ვალიევმა ვარჯიში 173-ე სკოლის (გლდანის რ-ნი) პატარა საჭიდაო დარბაზში დაიწყო, რომელიც განათლების სამინისტროს ეკუთვნის. მოჭიდავეთა ამ პატარა, მაგრამ ენერგიულ ჯგუფში (მწვრთნელი შოთა კოტორაშვილი) უკვე პირველი ჩემპიონიც გამოჩნდა.


მერაბ ვალიევი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.



## ლიდერებში გადაინაცვლეს



როგორც უკვე იცით, ხმლით მოფარიკავეთა პირადი პირველობის ფინალში გასული რვა სპორტსმენიდან 4 მასპინძელთა გუნდის წევრი იყო. ამიტომ პროგნოზს გუნდური პირველობისთვის დიდი თავისმტვრევა არ ჭირდებოდა: ნომერ პირველი ფავორიტი საქართველოს ხუთეული გახლდათ.

თუმცა სპორტში ხშირად არის შემთხვევა, როდესაც ჩემპიონად დაგულებული გუნდიც აგებს. მაგრამ უნივერსიადა-88-ის ხმლით მოფარიკავეთა შეჯიბრებაში, რომელიც თბილისის „ბურევესტნიკის" სასახლეში მიმდინარეობს, ეს სენსაციაზე მეტი იქნებოდა, იმდენად აშკარა იყო ჩვენი სპორტსმენების უპირატესობა.

მასპინძლებმა პირველი შეხვედრა ყაზახეთის გუნდს მართლაც ძალზე იოლად მოუგეს — 9:1. ასევე წყნარად, თითქმის უხმაუროდ ჩატარდა მათი მიკრომატჩი რსფსრ-ის ნაკრებთან, მაშინ, როდესაც მეზობელ ბილიკზე თანაბარი ძალის გუნდების — უკრაინისა და ლენინგრადის ნაკრებების წევრები მთელ დარბაზს იკლებდნენ. პირველ შეხვედრაში კი საკამათო და სანერვიულო არაფერი იყო, მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 9:2, დამაჯერებლად ფარიკაობდა გუნდის ლიდერი მერაბ ბაზაძე, რომელმაც ამ დღის ყველა—ცხრავე შეხვედრა მოიგო. მისი სიმშვიდე ახალგაზრდა თანაგუნდელებსაც გადაედოთ და ისინიც ზედიზედ იგებდნენ შეხვედრებს.

უკრაინისა და ლენინგრადის გუნდების შერკინება კი პირველის გამარჯვებით დამთავრდა — 9:6.

— რომელი გუნდი სჯობდა მეტოქედ? — ვკითხეთ საქართველოს პირველი ნაკრების წევრს ზაზა მჭედლიძეს, რომელიც ამხანაგებს გულშემატკივრობდა.

— სულ ერთია, — მითხრა მან და მართალიც აღმოჩნდა. უკრაინის გუნდი ძლიერი მეტოქე ვერ გამოდგა საქართველოს მოფარიკავეებისათვის. როდესაც ფინალური შეხვედრის ანგარიში გახდა 6:1, სტუმრებმა ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვეს და მეტოქეს გამარჯვება მიულოცეს. ამრიგად, საქართველოს ხმლით მოფარიკავეებმა უნივერსიადა-88-ის შეჯიბრებაში პირადი პირველობაც მოიგეს და გუნდურიც. გუნდის შემადგენლობაში მერაბ ბაზაძის გარდა გამოდიოდნენ ა. მანარაძე, ი. გვარამაძე, ა. ლორთქიფანიძე და კ. მახარაძე.

ამ წარმატების შემდეგ საქართველოს სტუდენტმა მოფარიკავეებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერთა შორის გადაინაცვლეს. თუ რაპირისტთა შეჯიბრების შემდეგ მათ მხოლოდ 23 ქულა ჰქონდათ (VII ადგილი), ამ მარაგს ახლა 162 ქულა მიუმატეს. რაპირით ფარიკაობაში კი, როგორც იცით, ჩვენს სპორტსმენებში საუკეთესო იყო გორის ეკონომიკის ინსტიტუტის სტუდენტი ოლეგ ჩერნიშოვი. მისმა გუნდმა VI ადგილი დაიკავა.

გიორგი პავლიაშვილი.

## მეორე მატჩი, მეორე გამარჯვება

ლიპეცკი (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარე სტუდენტთა საკავშირო უნივერსიადაზე მეორე ტურის მატჩი გამართეს. საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევ ინსტიტუტის ფეხბურთელებმა. აზერბაიჯანის გუნდთან შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვეთ ანგარიშით 2:1.

სხვა მატჩები ასეთი შედეგებით დამთავრდა: უკრაინა — სომხეთი 2:1, რსფსრ — მოლდავეთი 3:1.

ამრიგად, ჩვენმა გუნდმა პირველი ორი შეხვედრა გამარჯვებით დაამთავრა. მესამე ტურში, რომელიც დღეს გაიმართება, საქართველოს ფეხბურთელთა მეტოქეა სომხეთის გუნდი.

ე. გუგუშვილი.

## შრჩი ცხენები და „დაჩაგრული" მხედრები

მოსკოვი. ცხენოსანთა საკავშირო ჩემპიონატზე კონკურისტთა შეჯიბრების ბოლო დღემ ბევრი პროგნოზი დაამსხვრია. მაგრამ აქ, როგორც ირკვევა, იმდენი მხედრებს არ მიუძღვით დანაშაული, რამდენიც ცხენებს, ასე მაგალითად, ხარლამ სიმონიას ხერსონი მაინც და მაინც კარგ ფორმაში არ არის და ამიტომ მხედარი თავს დაჯერებულად ვერ გრძნობდა.

მეორე ლიდერის — მოსკოველ ვ. ჩუკანოვის ცხენმაც ზედიზედ რამდენიმე შეცდომა დაუშვა, რაშიც მხედარს არავითარი ბრალი არ მიუძღოდა. ანალოგიურ დღეში აღმოჩნდა საპრიზო ადგილის კიდევ ერთი პრეტენდენტი ლიტველი ს. შაკუროვი.

გამარჯვება ამ სახეობაში რ. უდრაკისმა (ლიტვა) მოიპოვა. ეს, სხვათა შორის, ლიტველი ცხენოსნის მეორე ოქროს მედალია ამ ჩემპიონატში.

საკავშირო ჩემპიონატის შედეგები ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. წინაა დასკვნითი წინასაოლიმპიადო შეკრება, სადაც დეტალურად გააანალიზებენ ლიდერთა წარუმატებლობის მიზეზებს, ამის შემდეგ საბოლოოდ დადგინდება სეულის ოლიმპიადის საგზურების მფლობელთა ვინაობა.

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში კვლავ იჩინა თავი უხეშმა დარღვევებმა. რატომ მოადუნეს ადგილებზე ყურადღება პასუხისმგებელმა მუშაკებმა?

იხ. მე-3 გვ.

## ჭადრაკი ერთ-ერთ ლიდერთან

შვეიცარიის ქალაქ ბილში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. VIII ტურში მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე შავი ფიგურებით დაუზავდა ვლადიმერ ტუკმაკოვს, დააგროვა 4 ქულა და ჯერჯერობით VI ადგილზეა. შეჯიბრებას კი იუგოსლაველი დიდოსტატი ივან სოკოლოვი ლიდერობს — 5,5 ქულა. გულკოს, ტუკმაკოვს, ნოგეირასსა და ტორეს 4,5-4,5 ქულა აქვთ. რომანიშინმა, ფტაჩნიკმა, კინტერმანმა და კამპორამ 3,5-3,5 ქულა მოაგროვეს. სატურნირო ცხრილის ბოლოში არიან ჰორტი და ცუგერი (3-3).

მაია ჩიბურდანიძე — ნანა იოსელიანის მატჩის წინ

## თელავი დიდი ჭადრაკის მოლოდინში

**თელავს რომ სტუმრები ჰყოლია, შეიძლება საქართველოს ბევრმა კუთხემ ვერ დაიკვეხნოს, მაგრამ წლევანდელ შემოდგომას აქაური მშრომელები მაინც განსაკუთრებული მღელვარებით ელიან. მთელი ქალაქი, მთელი რაიონი უდიდესი სიხარულით შეხვდა იმ ცნობას, რომ მაია ჩიბურდანიძემ და ნანა იოსელიანმა თავიანთი მთავარი მატჩის ადგილად სწორედ თელავი აირჩიეს.**

— ჩვენთვის ეს უდავოდ დიდი პატივია, — გვესაუბრება მსოფლიო პირველობის მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, თელავის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გივი ბეციაშვილი, — ამასთან უდიდესი პასუხისმგებლობაც გვეკისრება. ერთი წვრილმანიც არ უნდა გამოგვრჩეს, ერთი უმნიშვნელო დეტალიც კი არ უნდა იყოს ხინჯიანი, რომ ერის, მთელი მსოფლიოს წინაშე არ შევრცხვეთ. დიდი მატჩის უმაღლეს დონეზე ჩასატარებლად შეიქმნა რაიონული კომისია. მე კომისიის თავმჯდომარე გახლავართ, მაგრამ, ცხადია, ამხელა საქმეს ერთი კაცი ვერ გაუძლევება. პარტიის თელავის რაიკომი განიხილავს მატჩისთვის მზადების ყველა მნიშვნელოვან საკითხს. ასეთი საკითხი კი უამრავია, მგონი, არც ერთი სამსახური არ დარჩენილა ქალაქში, დავალება რომ არ მიეღო, და, უნდა ითქვას, ყველა დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა საქმეს.

ჭადრაკის გულშემატკივარმა ალბათ უკვე იცის, რომ მატჩი, რომელიც საზეიმოდ გაიხსნება 19 სექტემბერს, თელავის სახელმწიფო თეატრში გაიმართება. დიდებული შენობაა, მაგრამ ბევრი რამ მაინც მოსაგვარებელია. ახლა არ მოვყვები იმის ჩამოთვლას, რა უნდა მოწესრიგდეს შენობაში, მკითხველისთვის ეს მაინცდამაინც საინტერესო არ იქნება, მაგრამ მათ, ვისაც უშუალოდ ევალება ამ სამუშაოთა შესრულება, კარგად იციან, რა დიდი საქმეც აბარიათ. ყველაფერი პირველი სექტემბრისთვის უნდა იყოს მზად. საქმე ისაა, რომ სექტემბრის დამდეგს ჩვენს ქალაქში, კერძოდ, თელავის თეატრში იხსნება ტრადიციული საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ქება ვაზისა", რომელიც თითქმის მატჩის დაწყების დღემდე გასტანს.

თეატრში მოეწყობა კომფორტული დასასვენებელი ოთახები მოჭადრაკეებისთვის, მსაჯებისთვის, სპეციალისტებისთვის.

მონაწილეთა დასასვენებელ ოთახებში დამონტაჟდება მონიტორები, რათა მოჭადრაკეს საშუალება ჰქონდეს, ნახოს თავისი მოწინააღმდეგის მორიგი სვლა.

თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მოეწყობა პრეს-ცენტრი. ჟურნალისტებს დღის ნებისმიერ მონაკვეთში საშუალება ექნებათ შეუფერხებლად, ოპერატიულად დაუკავშირდნენ თავიანთ რედაქციებს. იმუშავებს კაფე-ბარი.

ჩამოსული სტუმრები იცხოვრებენ ინტურისტის სასტუმრო „კახეთში", თუ საჭირო გახდა, ტურბაზაც მათს განკარგულებაში იქნება.

დასვენების დღეებში მსურველები გაეცნობიან ისტორიულ ძეგლებს.

რა თქმა უნდა, კომისიის მიერ შედგენილი გეგმის შესრულებას კონტროლს ვუწევთ. უშუალოდ მე კვირაში რამდენჯერმე ვამოწმებ სხვადასხვა სამსახურის მუშაობას. დარწმუნებული ვარ (სხვაგვარად შეუძლებელიცაა), თელავის რაიონის არც ერთი ორგანიზაცია თავს არ შეირცხვენს და კარგად მომზადებული შეხვდება ორი უნიჭიერესი ქართველი მოჭადრაკე ქალის ისტორიულ მატჩს.

დასასრულ მინდა ვისურვო, რომ ეს იყოს ჭეშმარიტად ლამაზი, მაღალტექნიკური მატჩი და მეტოქეებმა სრულად გააცნონ გულშემატკივრებს თავიანთი მდიდარი შემოქმედება.

რაც შეეხება ამ შეხვედრის მნიშვნელობას ჩვენი რაიონისთვის, ეჭვი არ მეპარება, მატჩი დიდ პოპულარიზაციას გაუწევს ჭადრაკს თელაველ ახალგაზრდებში. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამისი დიდი სურვილი გვაქვს.

საუბარი ჩაიწერა
დავით- ჭელიძემ.





**სურათებზე: თელავის სახელმწიფო თეატრის შენობის (სადაც ჩატარდება მატჩი) გარე ხედი და ფოიე.**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა ექვსი თვის მონაგარი

# შედეგები ციფრებსა და პროცენტებში


ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს სპორტსახკომში**

**როგორც ამ დღეებში გაუწყეთ, საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიამ განიხილა საკითხი ოლიმპიური მომზადების გეგმების შესრულების შესახებ ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში.**

**რა იგულისხმებოდა უმაღლესი სპორტული ოსტატობის მაჩვენებლებში? ეს არის I-VI ადგილების მოპოვება მთავარ საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში, მათ შორის, სეულის ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებსა და თასების გათამაშებაში; სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობის, სსრ კავშირის სპორტის ოსტატების, ქვეყნის ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და რეზერვის მომზადება.**

**ქვემოთ ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ როგორ შესრულდა თითოეული მოთხოვნა მიმდინარე წლის 6 თვეში.**

**მთავარ** საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში — მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებსა და თასის გათამაშებებში დაგეგმილი იყო საქართველოს 16 წარმომადგენლის მონაწილეობა. სპორტის სახეობების მიხედვით შედეგები იგეგმებოდა თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ძიუდოში, ველოსპორტში (ტრეკი), მხატვრულ ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, აფროსნობაში, სინქრონულ ცურვაში, წყალში ხტომაში, ბატუტზე ხტომასა და ტყვიის სროლაში. ნახევარი წლისთვის გათვალისწინებული იყო 5 ოქროს, 3 ვერცხლის, 2 ბრინჯაოს მედლისა და 43,358 ქულის მოპოვება. **ფაქტობრივად მოპოვებულია 9 ოქროსა და 4 ვერცხლის მედალი და 57,98 ქულა, ხოლო გეგმა შესრულებულია 133,7 პროცენტით** (1987 წლის პირველ ნახევარში მოპოვებული იყო მხოლოდ 29,5 ქულა, 3 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი). დაგეგმილ შედეგებს გადააჭარბეს: ა. კიბორძალიძემ (ძიუდო); ხ. ფალასანიდიმ (სინქრონული ცურვა), რომელმაც მოიპოვა პირველი ადგილი ჯგუფურ ვარჯიშში და 2 პირველი ადგილი ინდივიდუალურ და წყვილთა გამოსვლებში; გ. ჩოგოვაძემ (წყალში ხტომა); რ. ხოფერიამ (ბატუტზე ხტომა), რომელმაც სამი პირველი ადგილი დაიკავა ინდივიდუალურ, წყვილთა და გუნდურ ასპარეზობაში; ნ. სალუქვაძემ (ტყვიის სროლა); დაუგეგმავი ვერცხლის მედალი მოუტანა რესპუბლიკას თ. სულაქველიძემ (ფეხბურთი, ევროპის ჩემპიონატი). ამოცანა წარმატებით შეასრულეს ლ. ხაბელოვმა და დ. გობეჯიშვილმა (ორივე — თავისუფალი ჭიდაობა); ა. ტოტიკაშვილმა (ძიუდო); ო. მჭედლიშვილმა (ველოტრეკი) ევროპის თასის გათამაშებაში სამ ეტაპზე დაიკავა IV ადგილი (3,0 ქულა), ხოლო ამავე სახეობაში ვ. ადამაშვილი ტრავმის გამო ასპარეზობას გამოეთიშა.

მიღწევები სპორტულ საზოგადოებათა მიხედვით ასე ნაწილდება: **„დინამო" — 19,25 ქულა (35 პროცენტი); „შრომითი რეზერვები" — 18,9 (34,4); პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება — 14,5 (26,4); არმიის სპორტული კლუბი — 2,33 ქულა.**

დავალებები ვერ შეასრულეს: ზ. ტატუაშვილმა (თავისუფალი ჭიდაობა); ი. ყიფშიძემ (მხატვრული ტანვარჯიში), გ. ბიგანიშვილმა (აფროსნობა, სამივე სპორტსმენი არმიის სპორტული კლუბის წარმომადგენელია); ო. სტრიჟაკოვმა („დინამო"). მიზეზი გახდა ის, რომ ამ სპორტსმენებმა თავიანთი სპორტული მომზადებით ვერ დაიმკვიდრეს ადგილი ქვეყნის ნაკრებ გუნდში. ამ სპორტსმენებმა რესპუბლიკას დააკლეს დაგეგმილი 13,0 ქულა.

ახლა რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენთა მთავარი ამოცანაა წარმატებით გამოსვლა სეულის ოლიმპიურ თამაშებში ქვეყნის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში, ხოლო აკრობატები ი. გიორგობიანი, ა. ანისიმოვა, ს. მაკარიჩევა, სამბისტი დ. მჭედლიშვილი, მძლეოსანი ვ. მახარაძე მსოფლიო ჩემპიონატებში მიიღებენ მონაწილეობას.

## სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა მომზადება

საკავშირო სპორტსახკომის გეგმით, ჩვენს რესპუბლიკაში 1988 წელს გათვალისწინებულია 24 სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულება. ნახევარ წელიწადში ეს ნორმატივი შესრულდა ან გაიმეორა 26 სპორტსმენმა (1987 წელს ამავე პერიოდში მომზადებული იყო 33). წელს ნორმატივი პირველად შეასრულა 6 სპორტსმენმა (შარშან — 9), პროგრამასახეობის მიხედვით დავალება შეასრულა 12-მა (შარშან — 12), მთლიანობაში დავალება განაღდებულია 50 პროცენტით (შარშან — 52,2). დანარჩენ 12 სპორტსმენს შორის, ვინც საპროგრამო დავალება ვერ შეასრულა, არიან: თავისუფალი სტილის მოჭიდავეები 68 და 90 კგ წონით კატეგორიაში (ასკ და პროფკავშირები); ძიუდოისტები — 95 კგ (გორი, პროფკავშირები), მძლეოსნები — რბენა 200 მ (ქალები) და შუბის ტყორცნა (ქალები, ორივე — პროფკავშირები); 100 მ ტყვიის მსროლელები (პპ-3 და მვ-9), მრგვალ სტენდზე მსროლელები, მოფარიკავეები (რაპირა) და ფეხბურთელები (ყველა—თბილისი, „დინამო"); აფროსნები (ვარსკვლავის კლასი, თბილისი, ასკ).

## სსრ კავშირის სპორტის ოსტატთა მომზადება

1988 წლისთვის დაგეგმილია 232 სპორტის ოსტატის მომზადება. ექვს თვეში მომზადდა 126 — წლიური გეგმის 54,31 პროცენტი (1987 წლის 6 თვეში მომზადდა 141 ანუ 71,6 პროცენტი, წლის გეგმა იყო 197).

გეგმას გადააჭარბეს: ძიუდოისტებმა (ნაცვლად 21-ისა — 29); მხატვრული ტანვარჯიშის წარმომადგენლებმა (1 და 5), თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა (16 და 29). ფრენბურთსა და ჩოგბურთში, სადაც ოსტატების მომზადება დაგეგმილი არ იყო, მომზადდა 4-4 სპორტსმენი. წლიური გეგმის შესრულებასთან ახლოს არიან სამბისტები. ტანმოვარჯიშეები, მოცურავეები, მოკრივეები და ბატუტისტები, ნაწილობრივ შეასრულეს გეგმები კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა, ველოსიპედისტებმა (გზატკეცილი), ტყვიის მსროლელებმა, ძალოსნებმა და მოფარიკავეებმა. დანარჩენ **28 სახეობაში დღემდე არც ერთი სპორტის ოსტატი არ მომზადებულა.**

**წლის გეგმის შესრულება: არმიის სპორტული კლუბი — 37,9 პროცენტი; „დინამო" — 55,5, „შრომითი რეზერვები" — 62,07; პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება — 44,2 პროცენტი, რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრომ გეგმის გარეშე მოამზადა 15 სპორტის ოსტატი.**

ნახევარი წლის გეგმების შესრულება უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკურ სკოლებში: ჭიდაობის სკოლა— 102,7 პროცენტი; ტანვარჯიშის სკოლა — 66,6, № 1 სკოლა — 53,3; **სხვა სკოლებს 6 თვის გეგმა არ შეუსრულებიათ.**

ნახევარი წლის დავალებები შეასრულეს: სამხრეთ ოსეთმა, ტყიბულმა, დუშეთმა, მცხეთამ და თელავმა. გეგმის შესრულებასთან ახლოსაა ბორჯომი (75 პროცენტი). **ქუთაისში გეგმა შესრულდა 48 პროცენტით, საგარეჯოში — 33,3 პროცენტით. ნახევარ წელიწადში თბილისში უნდა მომზადებულიყო 150 სპორტის ოსტატი, მომზადდა 68 (45,3 პროცენტი), რუსთავში გეგმა შესრულდა 80 პროცენტით, აფხაზეთში 70, აჭარაში 94 პროცენტით. არც ერთი სპორტის ოსტატი არ მოუმზადებიათ ფოთს, ზუგდიდს, გარდაბანს, ლაგოდეხს, კასპს. ახმეტის, გურჯაანისა და ორჯონიკიძის რაიონებმა, სადაც გეგმა არ ჰქონდათ, თითო სპორტის ოსტატი მოამზადეს.**

## სსრ კავშირის ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და რეზერვის მომზადება

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში ჩაირიცხა საქართველოს **59 სპორტსმენი** (ოთხწლიან ოლიმპიურ ციკლში ყოველწლიური გეგმაა 57) სპორტის 25 სახეობაში, რაც **გეგმის 103,5 პროცენტია.** 1987 წლის ამავე პერიოდში ქვეყნის ნაკრებში იყო 50 სპორტსმენი (87,72 პროცენტი) სპორტის 21 სახეობაში. დავალებას გადააჭარბეს აკრობატებმა, მოკრივეებმა, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, სამბისტებმა, ველოსიპედისტებმა (გზატკეცილი), მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატებმა, ჩოგბურთელებმა და მოჭადრაკეებმა.

დავალება მთლიანად შეასრულეს: კალათბურთელებმა (იგეგმებოდა ერთი სპორტსმენი); ველოსიპედისტებმა (ტრეკი, 2); წყალბურთელებმა (1); ნიჩბოსნებმა (ბაიდარა და კანოე, 1); თანამედროვე ხუთჭიდელებმა (1); ფეხბურთელებმა (1). სულ — 8 სპორტსმენი (1987 წელს — 12).

### გეგმის შესრულება

| სახეობა | გეგმა | შესრულება |
|---|---|---|
| კლასიკური ჭიდაობა | 5 | 3 |
| სპორტული ტანვარჯიში | 3 | 1 |
| ძიუდო | 9 | 7 |
| ცხენოსნობა | 2 | 1 |
| მძლეოსნობა | 8 | 6 |
| სინქრონული ცურვა | 2 | 1 |
| წყალში ხტომა | 5 | 1 |
| ტყვიის სროლა | 4 | 1 |
| სასტენდო სროლა | 2 | 1 |
| ფარიკაობა | 2 | 1 |
| **სულ** | **42** | **23** |
| 1987 წელს | 34 | 20 |

საერთოდ **არ შესრულდა დავალება ცურვაში (1) და მშვილდოსნობაში (1), სულ — 2. 1987 წელს შეუსრულებელი იყო 3.**

**სსრ კავშირის ნაკრები** გუნდების კანდიდატთა რეზერვში წელს ჩვენი რესპუბლიკიდან **ექვს თვეში სპორტის 30 სახეობაში ჩართული იყო 110 სპორტსმენი.** (1987 წელს — 66). ყოველწლიური გეგმა ოთხწლიან ოლიმპიურ ციკლში ჩვენი რესპუბლიკისთვის არის 75 სპორტსმენი. **გეგმიური დავალება შესრულებულია 146,7 პროცენტით** (შარშან — 88 პროცენტი).

### გადაჭარბება გეგმებში

| სახეობა | გეგმა | შესრულება |
|---|---|---|
| აკრობატიკა | — | 1 |
| ბადმინტონი | — | 11 |
| კალათბურთი | 2 | 5 |
| თავისუფალი ჭიდაობა | 3 | 5 |
| სამბო | — | 1 |
| ველო (საგზატკ. ) | 1 | 2 |
| წყალბურთი | 1 | 8 |
| სპ. ტანვარჯიში | 2 | 3 |
| ძიუდო | 3 | 10 |
| აფროსნობა | — | 1 |
| ცურვა | 3 | 4 |
| სინქ. ცურვა | 3 | 4 |
| ბატუტი | — | 3 |
| რაგბი | — | 1 |
| ტყვ. სროლა | 4 | 5 |
| ჩოგბურთი | 4 | 6 |
| ფარიკაობა | 1 | 5 |
| ფეხბურთი | 2 | 4 |
| ჭადრაკი | — | 6 |
| **სულ** | **29** | **85** |
| 1987 წელს | 19 | 38 |

მთლიანად შესრულდა გეგმა მხატვრულ ტანვარჯიშში (2) და თანამედროვე ხუთჭიდში (2). სულ — 4 სპორტსმენი (1987 წელს — 13).

### შეუსრულებლობა გეგმებში

| სახეობა | გეგმა | შესრულება |
|---|---|---|
| კრივი | 2 | 1 |
| კლასიკური ჭიდაობა | 3 | 2 |
| ველო (ტრეკი) | 2 | 1 |
| ნიჩბოსნობა (ბაიდარა და კანოე) | 7 | 3 |
| ცხენოსნობა | 5 | 2 |
| მძლეოსნობა | 12 | 7 |
| წყალში ხტომა | 4 | 3 |
| მშვილდოსნობა | 3 | 1 |
| სასტენდო სროლა | 2 | 1 |
| **სულ** | **40** | **21** |
| 1987 წელს | 41 | 15 |

მიმდინარე წლის 6 თვეში, ისევე როგორც შარშან შესაბამის პერიოდში, **არ შესრულდა გეგმიური დავალება ძალოსნობაში (2 სპორტსმენი).**

მთლიანობაში **1987 წელთან შედარებით,** უნდა აღინიშნოს ქვეყნის ნაკრებ გუნდებში კანდიდატებისა და რეზერვის წარმომადგენლების **რაოდენობის ზრდა.**

**გაგაცნობთ იმ სპორტსმენებს, რომლებმაც შეასრულეს (გამოყოფილია თეთრი შრიფტით) ან დაამტკიცეს (გამოყოფილია შავი შრიფტით) სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ნატალია ანისიმოვა** | **აკრობატიკა** | **ასკ** | **თბილისი** |
| **ინგა გიორგობიანი** | **აკრობატიკა** | **ასკ** | **თბილისი** |
| სვეტლანა მაკარიჩევა | აკრობატიკა | „შრ. რეზ." | თბილისი |
| **ლერი ხაბელოვი** | **თავ. ჭიდაობა** | **სკა-„შრ. რეზ."** | **თბილისი** |
| **დავით გობეჯიშვილი** | **თავ. ჭიდაობა** | **„დინამო"** | **თბილისი-ქუთაისი** |
| **თენგიზ თედორაძე** | **კლ. ჭიდაობა** | **განათლება-ასკ** | **თბილისი** |
| **გურამ გედეხაური** | **კლ. ჭიდაობა** | **განათლება-ასკ** | **თბილისი** |
| **ვლადიმერ ადამაშვილი** | **ველო (ტრ.)** | **„დინამო"** | **თბილისი** |
| **ოთარ მჭედლიშვილი (1000 მ. გიტი)** | **ველო (ტრ.)** | **ასკ** | **თბილისი** |
| **ოთარ მჭედლიშვილი** | **სპრინტი** | **ასკ** | **თბილისი** |
| **ვლადიმერ გოგოლაძე** | **ტანვარჯიში** | **ასკ** | **თბილისი** |
| ლევან სისაური | ტანვარჯიში | განათლება | თბილისი |
| ამირან ტოტიკაშვილი | ძიუდო | ასკ | თბილისი |
| **გიორგი თენაძე** | **ძიუდო** | **განათ.-ასკ** | **თბილისი** |
| **კობა კურტანიძე** | **ძიუდო** | **ასკ** | **თბილისი** |
| **აკაკი კიბორძალიძე** | **ძიუდო** | **„დინამო"** | **ქუთაისი** |
| ავთანდილ გუბელაძე | ძიუდო | „დინამო" | ქუთაისი |
| ტარიელ ბიწაძე | მძლეოსნობა | „დინამო" | თბილისი |
| **ხრისტინა ფალასანიდი** | **სინქ. ცურ.** | **განათლება** | **თბილისი** |
| **გიორგი ჩოგოვაძე** | **წყ. ხტომა** | **„დინ."-განათ.** | **თბილისი** |
| **რუსუდან ხოფერია** | **ბატუტი** | **„შრ. რეზ."** | **თბილისი** |
| **ვახტანგ იაგორაშვილი** | **თან. ხუთჭ.** | **ასკ** | **თბილისი** |
| **ნინო სალუქვაძე** | **ტყ. სროლა** | **ასკ** | **თბილისი** |
| **ილია ჩაგანავა** | **ტყ. სროლა** | **„დინამო"** | **ქუთაისი** |
| კახაბერ კახიაშვილი | ძალოსნობა | განათლება | ცხინვალი |
| **თენგიზ სულაქველიძე** | **ფეხბურთი** | **„დინამო"** | **თბილისი** |



**ლახტის წრეში -**

# უგულო ძიძები

## ანუ სად გვაქვს ზედმეტი სპორტული დარბაზები?!

**ყველამ იცის, თბილისის ცალკეულ უბნებში სპორტული ნაგებობებით სულაც არ ვართ განებივრებული. ეს ერთნაირად ეხება ჩვენი ქალაქის იმ კარგა მოზრდილ უბანსაც, პლეხანოვის პროსპექტი რომ „ჩაუდის" შუაში. სწორედ აქ, ამ მაგისტრალური ქუჩის № 73-ში მდებარეობს თბილისის ერთ-ერთი უძველესი პარკი დღეს მ. გორკის სახელობის კულტურისა და ტექნიკის სასახლის სახელით რომაა ცნობილი.**

**ამ ათიოდე წლის წინათ პარკის ნაცნობი ტერიტორია ერთი-ორად გაიზარდა — ქალაქის საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით მას მომიჯნავე ოფიცერთა სახლის საზაფხულო პარკიც გადაეცა ნაგებობით, რომელიც სპორტულ დარბაზად უნდა გადაკეთებულიყო. თავდაპირველად ეს ნაგებობა რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს ბალანსზე გადავიდა, ერთი წლის შემდეგ კი იმავე წესით გადაეცა საქართველოს კულტურის სამინისტროს.**

**მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა.**

**1981 წლის მაისში კულტურის სამინისტრომ ის ნაგებობა... გაუცვალა განათლების სამინისტროს პირველი მაისის ქუჩაზე მდებარე დარბაზში. მ. გორკის სახელობის პარკის „სპორტდარბაზი" ამიერიდან თბილისის განათლების სამმართველოს ფრენბურთის ოლიმპიური რეზერვის სკოლის (დირექტორი გ. იმნაძე) ბინად გამოცხადდა. მაგრამ... გავიდა უკვე შვიდი წელი და პატრონი არა და არ ჩანს. როგორც გავიგეთ, ფრენბურთელები თურმე იჯარით იღებენ სხვადასხვა სკოლების დარბაზებს, რაშიც, ცხადია, დიდძალ თანხას ხარჯავენ. უფრო მეტიც: თვით ოლიმპიური სკოლის დირექცია, ასევე იჯარითაა შეხიზნული ფურცელაძის, № 14 სახლში.**

**მ. გორკის სახელობის პარკში კი მწვანე ნარგავებში ჩაფლულ სპორტდარბაზის შენობას ნელნელა ენგრევა ჰერი, რომ იტყვიან, იგი უკვე სულს ლაფავს. კედლები დაბზარულია, იატაკი—აყრილი. ყოველივე ანტისანიტარიის ბუდედ იქცა და ადვილი შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს აქ ჯანმრთელობისათვის საშიში დაავადების ეპიდემია გაჩნდეს.**

**არადა დარბაზს რომ ნამდვილი პატრონი გამოსჩენოდა და სათანადოდ ეზრუნა მასზე, ვინ იცის ამ შვიდი წლის განმავლობაში რამდენ ახალგაზრდას აცდენდა ქუჩას, რამდენი თბილისელი გაიკაჟებდა სხეულს ფრენბურთის ბადესთან, კალათბურთის ფართან, ტანვარჯიშის იარაღთან.**



იქნებ მართლაც გამოვუნახოთ გაპარტახებულ დარბაზს მზრუნველი პატრონი — დავუბრუნოთ იგი მ. გორკის სახელობის სასახლეს (დირექტორი ნოდარ დონაძე), რომელსაც სახაგრომრეწვთან ერთად შესწევს უნარი სიცოცხლე შთაბეროს ჯანმრთელობის ამ პატარა, მაგრამ დიდად საჭირო კერას...

**ოთარ ოთარაშვილი.**

ს უ რ ა თ ზ ე: უპატრონოდ მიტოვებული ნაგებობა.

## შეკრებაზე — ხობში

**თბილისის** „დინამოს“ ფეხბურთელებმა ისარგებლეს საკავშირო ჩემპიონატის ხანმოკლე შუალედით და საწვრთნელი შეკრება ჩაატარეს ხობის სპორტულ ბაზაზე, სადაც შესანიშნავი პირობებია სავარჯიშოდ და მოსამზადებლად.

შეკრების ბოლო დღეს დინამოელებს შეხვედრა მოუწყეს რაიონის მშრომელებმა და ხელმძღვანელებმა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა დ. ყიფიანმა ფეხბურთელთა სახელით ხობელებს მადლობა გადაუხადა გულითადი მასპინძლობისათვის.

— 12-დღიან შეკრებას უქმად არ ჩაუვლია, — თქვა ყიფიანმა. — რაიონის ხელმძღვანელობამ ყველა პირობა შეგვიქმნა ნორმალური ვარჯიშისთვის. ფეხბურთელები უკეთ არიან მომზადებული როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. საპასუხისმგებლო მატჩები გველის, ძალასა და მონდომებას არ დავიშურებთ, რათა თავი დავაღწიოთ კრიზისულ მდგომარეობას.

თბილისის დინამოელებმა ამხანაგური მატჩი გამართეს ხობის „კოლხეთთან“ და ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს. ბურთები გაიტანეს მესხმა და რევიშვილმა.

**ნუგზარ ჟვანია.**

(ტელეფონით „ლელოს“ კორ). ხობი.

### სტატისტიკოსის ბლოკნოტში

**25 ივლისს** ლენინგრადში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-13 ტურის გამოტოვებული მატჩი ადგილობრივ „ზენიტსა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის.

თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0, დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს სპარტაკელებმა — 2:1.

### გათამაშების ცხრილი

**დუბლიორთა შემადგენლობანი**

**მდგომარეობა 28 ივლისისთვის**

| | თ. | მ | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ მ. | 16 | 11 | 3 | 2 | 28-10 | 25 |
| „ჩერნომორ.“ | 15 | 8 | 5 | 2 | 18-7 | 21 |
| „სპარტაკი“ | 15 | 8 | 4 | 3 | 31-20 | 20 |
| „დინამო“ კ. | 13 | 8 | 3 | 2 | 22-12 | 19 |
| „ტორპედო“ | 15 | 7 | 3 | 5 | 22-21 | 17 |
| „ქაირატ.“ | 15 | 6 | 5 | 4 | 28-13 | 17 |
| „დინ.“ თბ. | 14 | 6 | 5 | 3 | 20-18 | 17 |
| „ლოკომ.“ | 14 | 6 | 4 | 4 | 23-16 | 16 |
| „ზენიტი“ | 15 | 6 | 2 | 7 | 16-19 | 14 |
| „დნეპრი“ | 16 | 5 | 3 | 8 | 16-24 | 13 |
| „მეტალის.“ | 16 | 4 | 4 | 8 | 17-20 | 12 |
| „არარატი“ | 13 | 3 | 3 | 7 | 17-25 | 9 |
| „შახტიორი“ | 14 | 3 | 3 | 8 | 16-27 | 9 |
| „კაირატი“ | 15 | 3 | 3 | 9 | 15-31 | 9 |
| „დინ.“ მნ. | 15 | 3 | 2 | 10 | 14-29 | 8 |
| „ნეფთჩი“ | 13 | 2 | 4 | 7 | 5-16 | 8 |

### ვიტალი დარასელიას სახელობისა

**ოჩამჩირის** „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე გაიმართა ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვიტალი დარასელიას სახელობის პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „ტორპედო“ (მოსკოვი), „ალგა“ (ფრუნზე), „დინამო“ (თბილისი), „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი), ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი), „ტორპედო“ (ქუთაისი), აგრეთვე, გაგრის, კრასნოდარის, კიშინიოვის, სოხუმისა და ოჩამჩირის სპორტსკოლების გუნდები.

თავდაპირველად გათამაშება ჩატარდა ქვეჯგუფებში. ფინალში გავიდნენ ოჩამჩირელი და თბილისელი ფეხბურთელები. საინტერესო ბრძოლაში გამარჯვებას ოჩამჩირელმა ფეხბურთელებმა მიაღწიეს — 4:1, მათ შემადგენლობაში გამოდიოდა სახელოვანი ფეხბურთელის ვაჟი ვიტალი დარასელია. გამარჯვებულებს გადაეცათ პრიზები, კერძოდ, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნიაზი ძიაპშიპამ ჯილდო გადასცა ვიტალი დარასელიას.

ტურნირის ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად აღიარეს სწორედ ვიტალი დარასელია, საუკეთესო ფეხბურთელთა შორის არიან გ. ფიფია (ოჩამჩირე), დ. ტრიკოლიჩი (კიშინიოვი), გ. გახოკიძე (თბილისის „დინამო“), ე. გუჩუა (ოჩამჩირე), გ. ბარდაველიძე (თბილისი), დ. შალამბერიძე (ოჩამჩირე) და სხვანი.

**რ. ჰედია.**

# SOS

## თავაშვებულები

### ეს მხოლოდ ფეხბურთელებს არ ეხებათ

არცთუ შორეული წარსულიდან, ეტყობა, ისევ მოგვდევს მავნე ხენად მოჩვენებითობა და კამპანიურობა. ვიტყვით, დავადგენთ ან გადავწყვეტთ და პირველ ხანებში ყველაფერს ვაკეთებთ საქმის სასარგებლოდ, ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ... გადის დრო და ისევ ძველებურად ვაგრძელებთ ყველაფერს. ამჟამად ფეხბურთზე მოგახსენებთ. შარშან და წლეულს სხვადასხვა ინსტანციაში ბევრი რამ გაკეთდა, რათა საქართველოს პირველობის მატჩები მაღალ დონეზე ჩატარდეს, საზოგადოებრიობამ მკაცრი და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა წესრიგის დამრღვევებს. გავაანალიზეთ შეცდომები და ნეგატიური ტენდენციები. რისთვის გვჭირდება ყოველივე ეს? მხოლოდ ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ. ეს იყო და არის მკაცრი მოთხოვნა. გატარებულმა ღონისძიებებმა თითქოს გამოიღო შედეგი — წელს საქართველოს ჩემპიონატის პირველ ნახევარში მონაცემები დამაიმედებელი იყო, რაც აღვნიშნეთ კიდეც ჩვენს გაზეთში, მაგრამ აი, ბოლო ხანებში ისევ მოდის შემაშფოთებელი ცნობები რესპუბლიკის რაიონებიდან და ქალაქებიდან. სტუმართმასპინძლობის წესის უგულებელყოფასა და პროვინციალიზმზე ჩვენ უკვე ამ დღეებში ვწერდით. ახლა საუბარი გვიხდება იმაზე, რომ ზოგიერთ სტადიონზე კვლავ მძლავრობენ ხულიგნები. მაყურებლები და ფეხბურთელები, ზოგან წესრიგის დამცველებიც არ იღებენ გადამჭრელ ზომებს უწესრიგობის აღსაკვეთად, არის მსაჯის, მწვრთნელის, სტუმარი ფეხბურთელების ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევები. ადგილობრივი ხელმძღვანელები, სამწუხაროდ, ეგუებიან ამგვარ ფაქტებს, ხშირად ისინი არ ესწრებიან მატჩებს — მათთან ან საერთოდ არ მიაქვთ ინფორმაცია მომხდარ ამბებზე, ან მიაქვთ დამახინჯებით, უკეთ რომ ვთქვათ, შერბილებული და შელამაზებული. ზოგიერთი დამახინჯება, არ დავმალავთ, რესპუბლიკის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოდან იღებს სათავეს.

ახლა კონკრეტული ფაქტების შესახებ. ვიდრე შემაშფოთებელ და ზოგიერთ შემთხვევაში დაუჯერებელ ფაქტებზე გიამბობდეთ, გვინდა გაუწყოთ, რომ ცნობების უმრავლესობა რედაქციას მოაწოდეს ფეხბურთის გულშემატკივრებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, ვისაც გულთან ახლოს მიაქვს ქართული ფეხბურთის დღევანდელი კრიზისი და აშკარად ხედავს უბედურების სათავეს, ხედავს, რამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე და ველარ ითმენს ამდენ თავაშვებულობას.

...ბათუმში 23 ივლისს ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და მახარაძის რაიონის „მელექედური“. მატჩზე მსაჯები არ ჩავიდნენ და თამაში ჩაიშალა, არ შედგა. იმავე დღეს ბათუმში ანგისის სტადიონზე ჩატარდა ადგილობრივი „ავტომობილისტისა“ და სოხუმის „უნივერსიტეტის“ გუნდების შეხვედრა. მსაჯები არც აქ გამოცხადდნენ და ეს მოვალეობა ადგილობრივ მაცხოვრებელს დაეკისრა. მატჩის მსვლელობისას მოხდა ინციდენტები, რასაც ვაზუსტებთ და ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გაგაცნობთ.

მეორე დღეს, 24 ივლისს, კიდევ ერთი მატჩი იყო აჭარაში. ხელვაჩაურის „კახაბერი“ მასპინძლობდა ქუთაისის „კოლხიდას“. მსაჯებს აქაც ამაოდ ელოდნენ და ბოლოს ისევ ადგილობრივი არბიტრი გამონახეს. რას მივაწეროთ ყოველივე ეს? რას ფიქრობს რესპუბლიკის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო, ასე შორს რა მიზეზით მიდის უპასუხისმგებლობა? ჩვენ არ უარვყოფთ, რომ მსაჯებს შეიძლება ჰქონდეს გასამართლებელი საბუთი, მაგრამ როგორ დავიჯეროთ, რომ ზემოხსენებულ თამაშებზე დანიშნული ყველა მსაჯი ერთდროულად გახდა ავად? იქნებ შემაშფოთებელ გულგრილობასთან გვაქვს საქმე?

23 ივლისს ხაშურში „ივერიამ“ ზუგდიდის „დინამოს“ უმასპინძლა. აქ თვით მატჩის დროს უხეში დარღვევები არ მომხდარა, მაგრამ შესვენებისას გაგულისებული მაყურებლები მსაჯთა ოთახში შეიჭრნენ და მუქარით აიკლეს არბიტრები თ. ლორთქიფანიძე, ა. კოკაია და ტ. ნიშნიანიძე. მილიციის მუშაკები კი ამ დროს მეთვალყურის როლში გამოვიდნენ. ამ ამბავს თამაშზე თბილისიდან ჩასული პასუხისმგებელი მუშაკებიც შეესწრნენ.

რუსთავში „მეტალისტმა“ მიიღო კასპის „მეფრინველე“. თამაში ჩატარდა ქაოსურად, სამშენებლო ტრესტის სტადიონზე მიმდინარეობს რემონტი, ირგვლივ მიმოფანტულია სამშენებლო მასალები, „მეტალისტის“ გუნდში თამაშობენ უპერსპექტივო, ასაკოვანი ფეხბურთელები, მოთამაშეები თვითნებობენ. თავის გუნდის მატჩებს მეტალკონსტრუქციების ქარხნის დირექტორი იშვიათად ესწრებოდა.

საგანგაშო სიგნალი მივიღეთ აგრეთვე წალკიდან. აქ ადგილობრივი „თრიალეთი“ და ბორჯომის „თორის“ შეხვედრაში წინასწარი ცნობებით მოხდა სერიოზული დარღვევები. ფაქტები აქაც ზუსტდება და გაცნობებთ.

ჭერჭერობით ამით გვინდა დავამთავროთ. ზემოთ უკვე ვუსაყვედურეთ სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს, ახლა გვინდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოში ფეხბურთის კურატორებს შევახსენოთ, რომ საქართველოს პირველობაში მონაწილე გუნდების აბსოლუტური უმრავლესობა ამ საზოგადოებაში შედის. რა ზომებს ატარებენ ისინი სპორტულ კოლექტივებში წესრიგისა და დისციპლინის განსამტკიცებლად?

ყველაფერი ხომ წესრიგით იწყება.

## საფეხბურთო რეფორმები ჩეხოსლოვაკიაში...

**ჩეხოსლოვაკიის** ფიზკულტურული კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მოიწონა დოკუმენტები, რომლებიც ამ ქვეყნის პირველი საფეხბურთო ლიგის მოთამაშეების სამართლებრივ მდგომარეობასა და მათი შრომის ანაზღაურების საკითხებს ეხება.

ეს დოკუმენტები ფეხბურთელებს მთლიანად ათავისუფლებენ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ფიქციური „მუშაობისგან“, შრომით შემოსავალს ისინი მიიღებენ თავიანთი ნიჭის, პრაქტიკული შედეგების, ლიგაში გუნდის მდგომარეობისა და ქვეყნის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში თამაშის შესაბამისად. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპორტსმენის წვლილს ეროვნული და ოლიმპიური ნაკრები გუნდების წარმატებაში.

ყოველ წელს, სეზონის შედეგების შეჯამების შემდეგ, პირველი ლიგის ყველა მოთამაშე გაივლის ატესტაციას, რის შემდეგ ისინი დაიყოფიან სამ ჯგუფად.

პირველ ჯგუფში (უმაღლესი ყოველთვიური ხელფასი 5–7 ათასი კრონი, ანუ 500–700 მანეთი) შევა ის ფეხბურთელი, რომელიც შეასრულებს ერთ-ერთ შემდგომ მოთხოვნას:

ა) განვლილი წლის განმავლობაში სამჯერ გამოვა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების შემადგენლობაში, ან ბოლო 4 წლის განმავლობაში 10-ჯერ ითამაშებს ეროვნულ ნაკრებში;

ბ) გამოდიოდა გუნდში, რომელიც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მსოფლიო ჩემპიონატზე იყო 12 საუკეთესოს შორის, ან, ევროპის ჩემპიონატზე — 8 საუკეთესოს შორის, ან ოლიმპიურ ტურნირზე მოხვდება საუკეთესო ოთხეულში;

გ) შედიოდა ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში მონაწილეობდა ევროპის ჩემპიონატის ფინალში;

დ) შედიოდა პირველი ლიგის პრიზიორი გუნდის შემადგენლობაში და ითამაშა მატჩების არანაკლებ 50 პროცენტი.

სპორტსაზოგადოების წინადადებითა და ფედერაციის თანხმობით ამ ჯგუფში შეიძლება შევიდნენ სხვა ფეხბურთელებიც, რომლებიც პასუხობენ გარკვეულ მოთხოვნილებებს.

მეორე ჯგუფში (3,5–5,5 ათასი კრონი ყოველთვიური ხელფასი) შევლენ ფეხბურთელები, რომლებიც არანაკლებ ოთხი წელი, გამოდიან პირველ ლიგაში, თამაშობენ გუნდში, რომელმაც ეროვნულ ჩემპიონატში ადგილი დაიკავა 8 უძლიერესს შორის, მონაწილეობას იღებდნენ უეფა-ს ტურნირებში, შედიოდნენ ჭაბუკთა ნაკრებში და მის შემადგენლობაში ითამაშეს თამაშების არანაკლებ 20 პროცენტი.

მესამე ჯგუფში შევლენ დანარჩენი ფეხბურთელები, რომლებიც პირველი ლიგის გუნდებში თამაშობენ.

გარდა ამისა, გუნდები მიიღებენ პრემიებს საპრიზო ადგილისთვის ეროვნულ ჩემპიონატში, მატჩებზე მაყურებელთა მაღალი დასწრებისთვის, დამატებით გასამრჯელოს ჩეხოსლოვაკიის პირველი ნაკრების (ძირითადი ხელფასის 25 პროცენტამდე) და ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში (ძირითადი ხელფასის 15 პროცენტამდე) გამოსვლისთვის. ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მოთამაშეები ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციისგან დამატებით გასამრჯელოს იღებენ გუნდის შედეგების შესაბამისად.

დადგენილია გაეზარდოთ ხელფასები პირველი ლიგის გუნდების მწვრთნელებს მათი კლუბის შედეგების მიხედვით. დამატებითი გასამრჯელო პირდაპირ დამოკიდებულებაშია გუნდის მიერ დაკავებულ ადგილთან ეროვნული ჩემპიონატის საბოლოო ცხრილში.




### ბორა მილუტინოვიჩი — პერუელთა მწვრთნელი

ცნობილი იუგოსლაველი ფეხბურთის სპეციალისტი ბორა მილუტინოვიჩი, რომელიც წინა მსოფლიო ჩემპიონატში მექსიკის ნაკრების მწვრთნელი იყო და, საყოველთაო აზრით, თვალსაჩინო წარმატებასაც მიაღწია, ახლა პერუს ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. მილუტინოვიჩმა ძნელი ამოცანა უნდა გადაწყვიტოს — ურუგვაელებსა და ბოლივიელებთან ბრძოლაში მსოფლიო პირველობის ფინალის საგზური მოიპოვოს.

### ძენგას ორთვიანი „პაუზა“

იტალიის ნაკრებისა და მილანის „ინტერის“ მეკარემ ვალტერ ძენგამ მუხლისთავის (მენისკის) ოპერაცია გადაიტანა და ექიმების მოწმობით, ორი თვის მანძილზე უნდა შეისვენოს. სანამ ვარჯიშს განაახლებს, მას იტალიის ჩემპიონატის პირველი მატჩების გამოტოვება მოუხდება.

### ფიფა-ს სამდივნო იუწყება

როგორც ფიფა-ს სამდივნო იუწყება, თუ ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნები, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს, მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობაზე უარს განაცხადებენ, მაშინ ამ ქვეყნების საკლუბო გუნდები საერთაშორისო მატჩებში განუსაზღვრელი პერიოდით არ დაიშვებიან.

### „ბრაიტნერის წერილები ატმოსფეროს წამლავდა“

როგორც გფრ-ის ნაკრების ხელმძღვანელმა ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, ცნობილი დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი, ახლა კი სპორტული ჟურნალისტი პაულ ბრაიტნერი ძალზე არაობიექტურად აშუქებდა ევროპის პირველობის მსვლელობას: „მისი წერილები შეჯიბრების დაწყებამდე და შემდეგ მსვლელობის დროსაც პირდაპირ წამლავდა ატმოსფეროს“.

## ...და ავსტრიაში

**ავსტრიის** პროფკავშირების პრეს-ბიულეტენში გამოქვეყნდა ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ „დიდი ბრიტანეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, ესპანეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის შემდეგ ავსტრიაშიც შეიქმნა პროფესიონალ ფეხბურთელთა ინტერესების პროფკავშირული წარმომადგენლობა“. ვენაში შედგა „ფეხბურთის პროფკავშირული ჯგუფის“ დამფუძნებელი კრება ხელოვნების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და თავისუფალი პროფესიის მუშაკთა პროფკავშირების შემადგენლობით. დასაწყისში ეს ჯგუფი გააერთიანებს პირველ და მეორე ლიგის გუნდებში მოთამაშე დაახლოებით 400-მდე ფეხბურთელს. პატრონატი ამ ჯგუფზე თავის თავზე აიღო ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ავსტრიის პარლამენტისა და პროფკავშირების გაერთიანების ყოფილმა თავმჯდომარემ ა. ბენიამ.

ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებულ პრეს-კონფერენციაზე პროფკავშირების ხელმძღვანელებთან ერთად გამოვიდნენ ცნობილი ავსტრიელი პროფესიონალი ფეხბურთელები ჰ. პროჰაზკა, ჰ. ვებერი, ა. ფიხლერი, ვ. კოხი და ტ. პფაიფერი. მათ აღნიშნეს, რომ ახალი „პროფკავშირული ჯგუფი“ მოწოდებულია დაიცვას ფეხბურთელთა ინტერესები და, გარდა ამისა, იზრუნოს „პროფესიონალ ფეხბურთელთა სამუშაო და სოციალური პირობების“ გაუმჯობესებისათვის.

როგორც ავსტრიის ჩემპიონის „რაპიდის“ კაპიტანმა ჰ. ვებერმა აღნიშნა, ფეხბურთელებს ახლა არ სურთ, რომ „კლუბის ხელმძღვანელები მათ ისე ექცეოდნენ, როგორც უგუნურ ბავშვებს“. ავსტრიელი პროფესიონალი ფეხბურთელები დიდ ინტერესს იჩენენ მათი პროფკავშირული წარმომადგენლების მუშაობის მიმართ.

### არაბეთის ქვეყნების თასზე

იორდანიის დედაქალაქ ამანში მოეწყო არაბეთის ქვეყნების თასის გათამაშება ფეხბურთში. დაძაბულ ნახევარფინალურ შეხვედრაში სირიისა და ეგვიპტის გუნდებს შორის ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ბურთის გატანა, მატჩის ძირითადი და დამატებითი დროც ფრედ დამთავრდა — 0:0. საჭირო შეიქნა დამატებითი 11-მეტრიანების დანიშვნა. აქ უფრო ზუსტნი სირიელები იყვნენ — 4:3. მეორე ნახევარფინალში ერაყის ნაკრებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა იორდანიის გუნდი.

ფინალურ მატჩში ერაყელებმა ანგარიშით 5:4 მოუგეს სირიის გუნდს, — მათ მეოთხედ მოიპოვეს არაბეთის ქვეყნების თასი.

### ევროპაში გადმოდის

როგორც სამხრეთ ამერიკის № 1 ფეხბურთელად აღიარებულმა, „ოქროს ბურთის“ მფლობელმა კოლუმბიელმა კარლოს ვალდერამამ განაცხადა, მან ხელშეკრულება დადო კლუბ „მონპელიესთან“ და ახალი სეზონიდან საფრანგეთის პირველ დივიზიონში ითამაშებს.

ისტორია

# 61 წლინადი გასულა

**ცნობილია**, რომ 1927 წელს მწვერვალ იალბუზზე ავიდნენ ქართველი მთამსვლელები, ძმები შოთა და დევი მიქელაძეები და სიმონ ჯაფარიძე (ხელმძღვანელი), მაგრამ ამ ასვლის ამსახველი ფოტომასალა საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპურ კლუბს არ



მოეპოვებოდა. ამ დღეებში კლუბმა მიიღო მოსკოველი აკადემიკოსის ნიკოლაი პარიისკის მიერ გამოგზავნილი ფოტო, რომელიც 61 წლის წინათ არის გადაღებული კავკასიონზე, მასზე აღბეჭდილი არიან (მარცხნიდან) შოთა მიქელაძე, სიმონ ჯაფარიძე და დევი მიქელაძე.

საქართველოს ალპური კლუბის და მთამსვლელობის მოყვარულთა და გაზეთის მკითხველთა სახელით მადლობას უხდიან მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ამ უნიკალური ფოტოსურათისათვის, რომელიც ალპური კლუბის ექსპონატებს დაამშვენებს.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 28 ივლისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **21.30 (2).**

**29 ივლისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; სპორტული ტანვარჯიში: სსრ კავშირის ჩემპიონატი და თასი (გადაცემა მოსკოვის სპორტკომპლექს „ოლიმპიისკიდან") — **0.25 (2).**

# ატლანტა თუ ათენი?

**აშშ-ს** ქალაქმა ატლანტამ გადაწყვიტა წამოაყენოს თავისი კანდიდატურა 1996 წლის ოლიმპიური თამაშების მოწყობაზე. ატლანტას მერს ენდრიუ იანგს თავდაპირველად ეს იდეა უაზრობად მიაჩნდა, მაგრამ მერე და მერე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ოლიმპიადა ქალაქს სახელსა და დიდ შემოსავალს მოუტანდა.

რა „კოზირები" შეიძლება ჰქონდეს ატლანტას? ჯერ ერთი ის, რომ ქალაქის მერი ენდრიუ იანგი დიდხანს მუშაობდა აშშ-ის წარმომადგენლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და უცხოელ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ბევრი კარგი ნაცნობი ჰყავს.

გარდა ამისა, ატლანტაში განლაგებულია ცნობილი ფირმის — „კოკა-კოლას" შტაბ-ბინა, „კოკა-კოლა" კი, მოგეხსენებათ, სპორტის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სპონსორია. და კიდევ, ატლანტაში მდებარეობს ტედ ტერნერის ტელეკომპანია ტი-ბი-ესი, სწორედ ის ორგანიზაცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კეთილი ნების თამაშებს და სპორტთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს.

ამ გარემოებებმა, რა თქმა უნდა, გარკვეული გავლენა მოახდინა აშშ-ს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებაზე, რომელმაც ოფიციალურად დაუჭირა მხარი ქალაქის კანდიდატურას (65 ხმა — 42-ის წინააღმდეგ), მაგრამ უცხოელი მიმომხილველების აზრით ეს გამარჯვების სრულ გარანტიას მაინც არ იძლევა, ვინაიდან ატლანტას ჰყავს საკმაოდ რეალური და ძლიერი მეტოქე ათენის სახით. როგორც მოგეხსენებათ, თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები სწორედ ათენში ჩატარდა 1896 წელს და ოლიმპიადების სამშობლოს სურვილი აქვს დიდი ზარ-ზეიმით ჩაატაროს თამაშების 100 წლისთავი.

ეს კი არა, ატლანტა თავისი კონტინენტის მხარდაჭერითაც არ არის გარანტირებული, ვინაიდან იმავე 1996 წლის ოლიმპიადის ჩატარებაზე პრეტენზიას აცხადებს ტორონტო და პუერტო-რიკო.

მაგრამ ენდრიუ იანგი ოპტიმიზმს არ ჰკარგავს: „თუ ჩვენ ვერ გავიმარჯვებთ ამ ბრძოლაში, გაათკეცებული ენერგიით ვიბრძოლებთ, რომ შემდეგი ოლიმპიადა მაინც დავითრიოთო" —განაცხადა როლში შესულმა მერმა.

ოლიმპიური მოზაიკა

# პაექრობენ დოსაფელები

**ბათუმში** დამთავრდა დოსაფის რესპუბლიკური პირველობა საზღვაო მრავალჭიდში (ცურვა, ტყვიის სროლა, მძლეოსნური კროსი, აფროსნობა და ნიჩბოსნობა). ვაჟთა შორის გუნდური პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ძლიერმა კოლექტივმა. მეორე ადგილზე ბათუმელი დოსაფელები გამოვიდნენ, მესამეზე — სოხუმის ნაკრები. პირად პირველობაში რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა თბილისელი ა. კარცევი. მეორე ადგილზეა ბათუმელი ა. შუნიაკოვი, მესამე ადგილი ერგო გამარჯვებულის თანაგუნდელს გ. ბოჭორიშვილს.

ქალთა კოლექტივების ასპარეზობაშიც საუკეთესო თბილისის გუნდი იყო. მეორე ადგილზე გავიდნენ თბილისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-ტექნიკური სკოლის აღსაზრდელები, მესამეა ბათუმის გუნდი. პირად ჩათვლაში სამივე საპრიზო ადგილი თბილისელმა მ. კადეხემალიძემ, ნ. ბანძელაძემ და თ. ხვადაგიანმა მოიპოვეს.

ჭაბუკთა შეჯიბრებაშიც თბილისელებმა ისახელეს თავი. მათ გუნდური პირველი და მეორე ადგილები მოიპოვეს. მესამე ადგილი ბათუმელ ჭაბუკ დოსაფელებს ხვდათ.

**ლევან ქავჟარაძე,**
**(„ლელოს" საკ. კორ.).**

# ბოლო ტურში — ყაიმი

**ივანო-ფრანკოვსკში** დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა 48-ე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. როგორც იცით, ამ შეჯიბრებაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ახალგაზრდა გარდაბნელმა ოსტატმა ქეთევან კახიანმა. მან პირველობასთან ერთად ვადამდე გაინაღდა უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი საგზური. ბოლო ტურში იგი დაუზავდა ფრუნზელ ოსტატ ირინა ოსტრის და 10,5 ქულა მოაგროვა. 9 ქულით დაამთავრა შეჯიბრება ალმაათელმა საერთაშორისო ოსტატმა ფლორა უსკოვამ. 8-8 ქულა მოაგროვეს კიშინიოველმა ოსტატმა მარინა შერემეტიევამ და ალმაათელმა ოსტატმა ელმირა სახატოვამ. უმაღლესი ლიგის საგზურებს აგრეთვე დაეუფლნენ უსკოვა და შერემეტიევა. ამ უკანასკნელს უკეთესი კოეფიციენტი დაეხმარა.

მსგავსი ნახევარფინალური ტურნირი მინსკშიც დამთავრდა. ამ შეჯიბრებაში უმაღლესი ლიგის საგზურები მოიპოვეს აინურ სოფიევამ, გულნარა სახატოვამ და კოგანმა.

## ინფორმაცია

**ველიკო-ტირნოვო** (ბულგარეთი). გრძელდება 19 წლამდე ასაკის კალათბურთელ გოგონათა ევროპის ჩემპიონატი. „ა" ჯგუფში გამოიკვეთა ერთპიროვნული ლიდერი. ეს გახლავთ საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში ჩეხოსლოვაკიის გუნდი დაამარცხა — 76:75. „ბ" ჯგუფში დაწინაურდნენ იუგოსლავიელები. მათ ისევე, როგორც საბჭოთა კალათბურთელებს, 3 მოგება აქვთ.

**კინშასა.** როგორც ცნობილია, ცენტრალური ამერიკის კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა მოიპოვა ოლიმპიადის საგზური. ახლა ეს კოლექტივი აფრიკის ჩემპიონიც გახდა. მეორე და მესამე ადგილზე ანგოლისა და ზაირის გუნდები გავიდნენ.

**ტალინი.** აქ მიმდინარე აფროსანთა მსოფლიო ჩემპიონატში (კატამარან „ტორნადოს" კლასში) ტოლიატელი იური კონოვალოვის ეკიპაჟმა (მებაგირე მინსკელი სერგეი კრავცოვი) ექვსი რბოლის შემდეგ პირველი ადგილი დაისაკუთრა. ბოლო დღეს ფინიშთან იგი მეხუთე მივიდა, მაგრამ ეს საერთო გამარჯვებისთვის საკმარისი იყო.

# ულიდერებოდ

**კიევი.** ჩოგბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დაწყებას უკრაინის დედაქალაქში დიდი ინტერესით მოელოდნენ. და მართლაც, საერთაშორისო სარბიელზე საბჭოთა ჩოგბურთელი ქალების ბოლოდროინდელმა წარმატებებმა მათი სახელი და ავტორიტეტი ერთიორად გაზარდა.

უკრაინის დედაქალაქში საასპარეზოდ ჩავიდა ქვეყნის 28 უძლიერესი სპორტსმენი თერთმეტი ქალაქიდან. სამწუხაროდ, მონაწილეთა შორის არ არის ქალთა ჩოგბურთის სამი აღიარებული ლიდერი — მინსკელი ნატალია ზვერევა, ლვოველი ლარისა სავჩენკო და თბილისელი ლეილა მესხი. დაძაბული ოლიმპიური სეზონისა და მრავალ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის შემდეგ მწვრთნელთა საბჭომ მათ დასვენების უფლება მისცა.

ჩემპიონატის პირველი დღის შეხვედრებიდან შეიძლება გამოვყოთ ახალგაზრდა რიგელი სპორტსმენის ელანა ზავარუევას გამარჯვება დონეცკელ ელენა კისლუხასთან — 6:0, 7:6. კიშინიოველმა ელენა ვლადიმიროვამ ადვილად სძლია რიგელ უნა ბუშუევას — 6:4, 6:0.

ჩემპიონები ერთეულთა და წყვილთა თანრიგში კვირას გამოვლინდებიან.

## პატ კეში უარზეა

**უიმბლდონის** 1987 წლის ჩემპიონმა და ავსტრალიის უძლიერესმა ჩოგბურთელმა პატ კეშმა გადაწყვიტა მონაწილეობა არ მიიღოს სეულის ოლიმპიურ თამაშებში. სპორტსმენის სიტყვებით ეს განაპირობა ოჯახურმა მიზეზებმა და სატურნირო ვალდებულებებმა.

წარსულში ცნობილმა ჩოგბურთელმა ნილ ფრეზერმა, რომელიც ამჟამად ოლიპიური ნაკრების ხელმძღვანელადაა დანიშნული, თქვა, რომ კეშს შეცვლის 22 წლის ლარენ კაჰილი (მსოფლიო კლასიფიკაციით 45-ე ჩოგბურთელი).

სეულში ამ ახალგაზრდა სპორტსმენთან ერთად გამოვლენ ვაჟთა ტურნირში — უალი მასური და ჯონ ფიტცჯერალდი, ქალების შეჯიბრებაში — ენ მინტერი, ელიზაბეტ სმაილი და უენდი ტურნბული.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**რეგბი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 29 ივლისი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. „ელმავალი" (თბილისი) — „ავიატორი" (კიევი). დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე.**

**სად დავისვენოთ,**
**სად ვივარჯიშოთ,**
**სად ვიასპარეზოთ**
**შაბათს და კვირას**

**30-31 ივლისს** ბაზალეთის ტბაზე მოეწყობა ტურისტული შეკრება და მშდ ნორმატივების მასობრივი ჩაბარება. ამ ღონისძიებაში, რომელიც კიროვის რაიონის წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებისთვის ტარდება, მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**


**საქართველოს ტელევიზიის პრიზის გათამაშება სტიპლ-ჩეისში**



31 ივლისს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გაიმართება დოღი ახალთეჯური და ინგლისური ჯიშის ცხენების მონაწილეობით.
ამ დღესვე ჩატარდება ასპარეზობა „სტიპლ-ჩეისში" საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის პრიზზე, დისტანცია 4800 მ. მონაწილეობენ თბილისელი, სოხუმელი, ოჩამჩირელი, გულრიფშელი, გალელი, გუდაუთელი და გაგრელი ოსტატი მხედრები.
იმუშავებს ტოტალიზატორი.
გათამაშდება ლატარეა ავტომანქანა „ჟიგულის" ურიგოდ შეძენაზე.
დასაწყისი — 12 საათზე.



**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**
**(წერეთლის გამზ. № 2)**
**31 ივლისი ● ფეხბურთი**
**სსრ კავშირის ჩემპიონატი**
**„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი)**

დასაწყისი 20 საათზე.

30 ივნისით დათარიღებული ბილეთები ძალაშია 31 ივლისს.
მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 28 ივლისიდან, 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში — 28 და 29 ივლისს.
აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა თამაში შედგება 30 ივლისს, დასაწყისი 19.30 საათზე. 25 ივნისით დათარიღებული ბილეთები ძალაშია 30 ივლისს.
უამინდობის შემთხვევაში დუბლშემადგენლობათა მატჩი შედგება „ლოკომოტივის" სტადიონზე იმავე დროს.


საქართველოს სპორტსახკომი, ძალოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია, გაზეთ „ლელოს" რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი

**დიმიტრი იოსების ძე კაპცოვი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.


**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05462